

## საგარეო ვაჭრობის პორტალით სარგებლობის ინსტრუქცია

საგარეო ვაჭრობის პორტალი წარმოადგენს თვისობრივად ახალ მიმართულებას საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ვიზუალიზაციისა და გავრცელების კუთხით.

პორტალის ეკრანის ზედა ნაწილში წარმოდგენილია პარამეტრების პანელი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა პარამეტრების არჩევა სასურველი მონაცემების მისაღებად. **პარამეტრების პანელი** შედგება სამი ბლოკისაგან: **ძირითადი პარამეტრები**, **დამატებითი პარამეტრები** და **სასაქონლო კლასიფიკაციები** (იხ. სურათი №1).

### სურათი №1

The screenshot displays three panels for filtering trade data. The first panel, 'ძირითადი პარამეტრები', includes fields for 'საგარეო ნაკადები' (set to 'ექსპორტი'), 'პერიოდი' (set to 'წელი' and '2020'), 'კვარტალი' (checkbox), 'თვე' (checkbox, set to 'იანვარი'), and 'ზომის ერთეული' (set to 'ათასი აშშ დოლარი'). The second panel, 'დამატებითი პარამეტრები', includes 'მხარე' (set to 'მსოფლიო სულ'), 'კვანძის ბუნება' (checkbox, set to 'აორჩევი'), and 'ბრუნება' (checkbox, set to 'აორჩევი'). The third panel, 'სასაქონლო კლასიფიკაციები', lists various HS and SITC codes with checkboxes, such as 'HS-2', 'HS-4', 'HS-6', 'BEC-1', 'SITC', and 'SITC-1'.

**ძირითადი პარამეტრების** ნაწილში შესაძლებელია სავაჭრო ნაკადების, პერიოდის და ზომის ერთეულის არჩევა.

**სავაჭრო ნაკადებს** მიეკუთვნება ექსპორტი, იმპორტი, ადგილობრივი ექსპორტი, რეექსპორტი, საგარეო სავაჭრო ბრუნვა და სალდო. მოცემული ველი ერთდროულად რამოდენიმე მაჩვენებლის არჩევის შესაძლებლობასაც იძლევა (იხ. სურათი №2).

### სურათი №2

This screenshot shows a close-up of the 'ძირითადი პარამეტრები' panel. The 'სავაჭრო ნაკადები' field is circled in red, and its dropdown menu is open, showing options: 'ექსპორტი' (unchecked), 'იმპორტი' (checked), 'ადგილობრივი ექსპორტი', 'რეექსპორტი', 'ბრუნვა', and 'სალდო'. Other fields in the panel include 'პერიოდი' (set to 'წელი'), 'კვარტალი' (checkbox), 'თვე' (checkbox, checked), and 'ზომის ერთეული' (set to 'ათასი აშშ დოლარი').

სტატისტიკური მონაცემების მიღება შესაძლებელია წლიური, კვარტალური ან თვიური პერიოდულობით, **პერიოდის** ველში შესაბამისი მონიშვნების მეშვეობით. მონაცემები ხელმისაწვდომია 2009 წლიდან (იხ. სურათი №3).

სურათი №3

**პერიოდის ნაზარდი ჯამის** მონიშვნის შემთხვევაში შესაძლებელია ჯამური მონაცემის მიღება რამდენიმე პერიოდისთვის. მაგალითისათვის სურათზე №4 წარმოდგენილია 2019 წლის რამდენიმე თვის ჯამური ექსპორტის შესახებ მონაცემების მისაღებად საჭირო პარამეტრები.

სურათი №4

რაოდენობრივი მახასიათებლები წარმოდგენილია ველში **ზომის ერთეული**. მისი მეშვეობით ხდება მონაცემების მიღება ათას დოლარებში, ტონებში ან სხვა ერთეულებში (იხ. სურათი №5).

სურათი №5


დამატებითი პარამეტრების ბლოკში წარმოდგენილია ქვეყნები, ქვეყნის ჯგუფები და ტვირთის ტრანსპორტირების სახეები.

ქვეყნის ველი (იხ. სურათი №6) საშუალებას იძლევა ავირჩიოთ ერთი ან რამდენიმე ქვეყანა ერთდროულად, მონიშვნის ან ძეგნის ველში სასურველი ქვეყნის დასახელების (კოდის) ჩაწერის გზით. ქვეყნების ჩამონათვალში ჯამური მაჩვენებლების მიღების საშუალებას იძლევა მსოფლიო, სულ, ხოლო ყველა ქვეყნის მონაცემების ერთდროულად წარმოსადგენად უნდა მონიშნოს ყველა ქვეყანა.

სურათი №6


ქვეყნის ჯგუფების ველიდან შესაძლებელია მონაცემების მიღება ქვეყნების გაერთიანებების მიხედვით. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნები. ველში ქვეყნის ჯგუფების აბრევიატურასთან მაუსის მიტანისას გამოისახება სრული დასახელება (იხ. სურათი №7).

სურათი №7



ტრანსპორტის ველში წარმოდგენილია საქონლის ტრანსპორტირების (საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო და დანარჩენი) სახეები (იხ. სურათი №8).

სურათი №8




მესამე ბლოკი მოიცავს სასაქონლო კლასიფიკაციებს, სადაც მომხმარებელს საშუალება ეძლევა სურვილისამებრ ინფორმაცია მიიღოს 3 სხვადასხვა კლასიფიკატორის მიხედვით: (იხ. სურათი №9).

სურათი №9

1. **HS (ჰარმონიზებული სისტემა)** – საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 2012 და 2017 წლების კომბინირებულ ვერსიას წარმოადგენს. პორტალზე აღნიშნული კლასიფიკაციის დეტალიზაცია წარმოდგენილია კარის, ორნიშნა, ოთხნიშნა და ექვსნიშნა დონეზე. შესაბამისად შესაძლებელია, სასურველი საქონლის შესახებ მონაცემების აგრეგირებული ან დეტალიზებული სახით მიღება მონიშვნის ან ძებნის ველში სასურველი საქონლის დასახელების (კოდის) ჩაწერის გზით;
2. **BEC rev.4 (Broad Economic Category)** - კლასიფიკაცია ფართო ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია აგრეგირებულ (ერთნიშნა) დონეზე;
3. **SITC rev. 4 (Standard International Trade Classification)** - საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაცია წარმოდგენილია ერთნიშნა დონეზე.

სასაქონლო კლასიფიკაციების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ეკრანის მარჯვენა მენიუდან **კლასიფიკაციების იარაღის** არჩევით (იხ. სურათი №10).

### სურათი №10




დილაკით **მონაცემების გენერირება** წარმოებს საშედეგო ცხრილის ფორმირება სასურველი პარამეტრების მიხედვით, ხოლო დილაკით **ჩამოტვირთვა** - შესაძლებელია ცხრილის გადმოწერა Ms. Excel-ის ფორმატში.

სურათებზე №11-13 მაგალითის სახით წარმოდგენილია საგარეო ვაჭრობის პორტალზე მონაცემების გენერირება 2018-2019 წლებში საქართველოდან აშშ-ში ღვინის ექსპორტის შესახებ.

სურათზე №11 ძირითადი პარამეტრების ნაწილში **სავაჭრო ნაკადებიდან** არჩეულია **ექსპორტი**, პერიოდის ველში მონიშნულია **წელი** და შერჩეულია სასურველი წლების დინამიკა. ერთზე მეტი პერიოდის არჩევის შემთხვევაში ველი გვიჩვენებს, რომ „მონიშნულია რამდენიმე“. ველში **ზომის ერთეული** მონიშნულია ათასი აშშ დოლარი.

### სურათი №11 - ძირითადი პარამეტრების განსაზღვრა



სურათზე №12 დამატებითი პარამეტრების ნაწილში ქვეყნებიდან არჩეულია აშშ.

სურათი №12 - დამატებითი პარამეტრების განსაზღვრა

დამატებითი პარამეტრები	
ქვეყნები	840 აშშ
ქვეყნის აბრევიატა	აირჩიეთ
ტრანსპორტი	აირჩიეთ

სურათი №13 ასახავს სასაქონლო კლასიფიკაციების ნაწილში ძეზის ფუნქციის გამოყენებას. არჩეული კლასიფიკაციის 4 ნიშნა დეტალიზაციის ველში, ძეზის სტრიქონში მითიებულია სასურველი საქონლის დასახელების საწყისი ასოები (განხილულ მაგალითში „ღვინ“). ძეზის ფილტრი წარმოადგენს ყველა იმ სასაქონლო პოზიციას, სადაც საძიებელი სიტყვა მონაწილეობს. მათ შორის, **2204** - ყურძნის ნატურალური ღვინოები.

სურათი №13 - სასაქონლო კლასიფიკაციებიდან საქონლის არჩევა

სასაქონლო კლასიფიკაციები	
HS	(მონიშნეთ)
პარი	<input type="checkbox"/>
HS-2	<input type="checkbox"/>
HS-4	<input checked="" type="checkbox"/>
HS-6	<input type="checkbox"/>
BEC	
BEC-1	<input type="checkbox"/>
SITC	
SITC-1	<input type="checkbox"/>

აირჩიეთ

ღვინ

გაუქმება

- 2204 ყურძნის ნატურალური ღვინოები
- 2205 ვერმუტები და ყურძნის სხვა ნატურალური ღვინოები
- 2307 ღვინის დანალექი: ღვინის ქვა


სათანადო პარამეტრების განსაზღვრის შემდეგ, ღილაკით **მონაცემების გენერირება** ხდება სასურველი ცხრილის ფორმირება პორტალის ეკრანის ქვედა ნაწილში. ღილაკით **ჩამოტვირთვა** - შესაძლებელია ცხრილის გადმოწერა Ms. Excel-ის ფორმატში (იხ. სურათი №14).

**სურათი №14**

ტიპი	წელი	HS4	ძვეყანა	1000 აშშ დოლარი
ექსპორტი	2019	2204 ყურძნის ნატურალური ღვინოები	840 აშშ	2 981.2
ექსპორტი	2018	2204 ყურძნის ნატურალური ღვინოები	840 აშშ	2 191

პორტალის მარჯვენა მხარეს მოთავსებული მენიუს საშუალებით შესაძლებელია **რუკაზე** გადასვლა. აქვე მოცემულია საგარეო ვაჭრობის აღრიცხვისას გამოყენებული კლასიფიკაციები, მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია, მეტამონაცემები და მონაცემებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის საკონტაქტო ინფორმაცია. აქვეა წარმოდგენილი გაეროს მიერ ფორმირებული, საგარეო ვაჭრობის გლობალურ მონაცემთა ბაზის ბმული, სადაც მომხმარებელს შეუძლია იხილოს საგარეო ვაჭრობის მონაცემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით (იხ. სურათი №15).

**სურათი №15**



საგარეო ვაჭრობის პორტალის გამოყენებასთან დაკავშირებული დეტალური ინსტრუქცია წარმოდგენილია საინფორმაციო ბლოკში [i](#)



საგარეო ვაჭრობის მონაცემების ვიზუალიზაციის საშუალებას იძლევა პორტალის რუკა (იხ. სურათი №16).

### სურათი №16



რუკის მარჯვენა მხარეს განთავსებული მენიუ სასურველი პარამეტრების არჩევის შესაძლებლობას იძლევა. შესაძლებელია **საგაჭრო ნაკადების** (ექსპორტი, იმპორტი, ადგილობრივი ექსპორტი, რეექსპორტი), სასურველი **პერიოდის** (წელი, კვარტალი, თვე), **ქვეყნის, ქვეყნის ჯგუფების და სასაქონლო პოზიციის** (HS-ის კლასიფიკაციის ოთხნიშნა დონეზე ან ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკატორის BEC-ის მიხედვით) არჩევა (იხ. სურათი №17).

### სურათი №17

<b>საგაჭრო ნაკადები</b>
აირჩიეთ
<b>წელი</b>
აირჩიეთ
<b>კვარტალი</b>
აირჩიეთ
<b>თვე</b>
აირჩიეთ
<b>ქვეყანა</b>
აირჩიეთ
<b>ქვეყნის ჯგუფები</b>
აირჩიეთ
<b>HS-4</b>
აირჩიეთ
<b>BEC-1</b>
აირჩიეთ

რუკა იცვლება არჩეული პარამეტრების შესაბამისად.

ახალი პროდუქტი საქსტატის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, მასზე არსებულ მონაცემთა განახლება განხორციელდება ყოველთვიურად, საგარეო ვაჭრობის მონაცემების გავრცელების პარალელურად.

გარდა ამისა, მომავალში პორტალს დაემატება ახალი ფუნქციები, რაც სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების პროცესს უფრო საინტერესოს და მოსახერხებელს გახდის მომხმარებლისათვის.